ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

საბალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1936 წ. აპრილის 20. № 7 ტფილისი

შინაარსი

მრეწველობა.

46. ადგილობრივი მრეწველობის დაფინანსების სპეციალური ფონდების მოწყობის შესახებ.

მშენებლობა.

47. ადგილობრივი საშენი მასალის ფასების შემცირების შესახებ.

48. საქართველოს სსრ საავტოტრანსპორტო, საექსპედიციო და სასაწყობო მეურნეობის სახელმწიფო ტრესტის—„საქავტოტრესტის"—მოწყობის შესახებ.

ფინანსები.

49. სასოფლო საბჭოების საბიუჯეტო უფლებათა შესახებ დებულების მე-6 მუხლის შეცვლის შესახებ.

შრომა.

50. მომუშავეთა რაოდენობისა და სამუშაო ხელფასის ფონდების ერთდროული აღრიცხვის შესახებ.

51. „სამედიცინო მომუშავეთა სამუშაო ხელფასის გადიდების თაობაზე" გამოცემული, სსრ კავშირის საბალხო კომისართა საბჭოს და სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1935 წ. მარტის 4-ის დადგენილების განხორციელების წესისათვის გამოცემული ინსტრუქციის მოქმედების ყველა სამედიცინო მომუშავეზე გავრცელების შესახებ, იმისდამიუხედავად, თუ ვის ექვემდებარება ის დაწესებულება, სადაც ეს მომუშავენი მუშაობენ.

სასამართლო წყობილება და სამართლის წარმოება.

52. იმ დოკუმენტების შესახებ დადგენილების ა ლიტერის მე-19 პუნქტის გაუქმების შესახებ, რომლებითაც გადახდევინება წარმოებს სანოტარო ორგანოების სააღსრულებო წარწერების თანახმად.

მრეწველობა

46. დადგენილება ს.კ.ს.

ადგილობრივი მრეწველობის დაფინანსების სპეციალური ფონდის მოწყობის შესახებ.

„ადგილობრივი მრეწველობის მატერიალური და საფინანსო ბაზის განმტკიცების შესახებ" გამოცემული, სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წ. ივნისის 1-ის თარიღის და 9/1053 №-ის დადგენილების მე-4, 5 და 6 მუხლების შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1935 წ. 34 №-ი, მუხ. 296), საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. მოწყობილ იქნას 1916 წელს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის განკარგულებაში ადგილობრივი მრეწველობის სპეციალური ფონდი შემდეგი წყაროებიდან:

ა) 10% რესპუბლიკანური ქვემდებარეობის საწარმოთა მოგების იმ თანხისა, რასაც ეს საწარმონი გადარიცხავენ ხოლმე სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს ზემოაღნიშნული, 1935 წ. ივნისის 1-ის თარიღის და 9/1053 №-ის, დადგენილების 1-ლი მუხლის „დ“ პუნქტის თანახმად;

ბ) 25% რესპუბლიკანური ქვემდებარეობის საწარმოთა ზეგეგმური მოგებისა;

გ) რესპუბლიკანური ბიუჯეტით გადადებული სპეციალური ასიგნებებისა რესპუბლიკანური ქვემდებარეობის მთელი მრეწველობის კაპიტალ-დაბანდებათა საერთო თანხის 10% რაოდენობით.

2. მოწყობილ იქნას საქართველოს სსრ შედგენილობაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ადგილობრივი მრეწველობის მმართველ ორგანოებთან 1936 წელს ადგილობრივი მრეწველობის სპეციალური ფონდები შემდეგი წყაროებიდან:

ა) 10% ამ რესპუბლიკებისა და ოლქის ადგილობრივი მრეწველობის მმართველი ორგანოების უშუალოდ ქვემდებარე საწარმოთა მოგების იმ თანხისა, რაც, სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წ. ივნისის 1-ის თარიღის და 9/1053 №-ის დადგენილების 1-ლი მუხლის „დ“ პუნქტის თანახმად, გადარიცხულ უნდა იქნას ადგილობრივ ბიუჯეტში;

ბ) 25% ამ რესპუბლიკებისა და ოლქის ადგილობრივი მრეწველობის მმართველი ორგანოების უშუალოდ ქვემდებარე საწარმოთა ზეგეგმური მოგებისა.

3. ამა დადგენილების 1-ლ და მე-2 მუხლში აღნიშნული, ადგილობრივი მრეწველობის სპეციალური ფონდები იხარჯება ზეგეგმურ ღონისძიებათა დაფინანსებაზე ადგილობრივი მრეწველობის განვითარების მიზნით, განსაკუთრებით ფართო მოხმარების საგნების წარმოებისა (ადგილობრივი სანედლეულო და სათბობი მასალის ბაზის გაფართოება, ახალ წარმოებათა დაყენება და ათვისება, საძიებლო და საკვლევო სამუშაოთა ორგანიზაცია და სხვა მისთ.).

4. აღნიშნული ფონდების სახსრის ხარჯვა შეიძლება:

ა) ამა დადგენილების 1-მუხლის გათვალისწინებული ფონდიდან—საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს ნებართვით;

ბ) ამა დადგენილების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ფონდებიდან—სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანადო ავტონომიური რესპუბლიკის ან ავტონომიური ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ნებართვით.

5. წინადადება მიეცეს ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს—გამოსცეს 10 დღის ვადაზე, საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, წესები ადგილობრივი მრეწველობის დაფინანსების სპეციალური ფონდების მოწყობის, შენახვისა და გამოყენების შესახებ.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მოადგ. **ს. მებუკე.**

1936 წ. მარტის 13. № 182.

ტფილისი.

მშენებლობა

47. დადგენილება ს.კ.ს

ადგილობრივი საშენი მასალის ფასების შემცირების შესახებ.

„ადგილობრივი საშენი მასალის ფასების დაკლების შესახებ“ გამოცემული, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წ. ივნისის 26-ის თარიღის და 817 №-ის დადგენილების შესაცვლელად (საქ. სსრ კან. კრ. 1935 წ. 26 №-ი, მუხ. 139) და „საშენი მასალის საგასაცემო ფასების შემცირების შესახებ“ გამოცემულ, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წ. მაისის 14-ის თარიღის და 899 №-ის დადგენილებასთან (სსრკ კან. კრ. 1935 წ. 26 №-ი, მუხ. 210) ზემოაღნიშნული დადგენილების შესაფარდებლად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. შემცირებულ იქნას 1936 წ. მარტის 1-დან საქართველოს სსრ სარეწაო კოოპერაციის მიერ ნაწარმი საშენი მასალის აგურისა და კირის საგასაცემო ფასები:

ა) აგურისა— 10,3 პროცენტით,

ბ) კირისა—8,4 პროცენტით.

2. გაუქმებულ იქნას საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს ზემოაღნიშნული 1935 წ. ივნისის 25-ის თარიღის და 817 №-ის დადგენილების მე-5 და 8 მუხლით გათვალისწინებული, ადგილობრივი საშენი მასალის მწარმოებელ წამოწყებათა მიერ თავიანთი პროდუქციის ნაწილის ფართო ბაზარზე რეალიზაციის უფლება.

3. მიენდოს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს და სარეწაო კავშირს—ჩაატარონ ზემოაღნიშნული ღონისძიებანი ადგილობრივი საშენი მასალის თვითღირებულების იმ შემცირების მეშვეობით, რაც განხორციელებულ უნდა იქნას თანახმად შრომისა და თავდაცვის საბჭოს

1936 წ. თებერვლის 11-ის თარიღის და 66 №-ის დადგენილებისა „საშენი მასალის და საშენი დეტალების წარმოების გაიაფების შესახებ“ (1-ლი მუხ.).

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მაგ. **ვ. ლუნკევიჩი.**

1936 წ. მარტის 3. № 160.
ტფილისი.

ტ რ ა ნ ს პ ო რ ტ ი

48. დადგენილება ს.კ.ს.

საქართველოს სსრ საავტოტრანსპორტო, საექსპედიციო და სასაწყობო მეურნეობის სახელმწიფო ტრესტის—„საქავტოტრესტის“—მოწყობის შესახებ.

„გზატკეცილების, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის ცენტრალური სამმართველოს რეორგანიზაციის შესახებ“ გამოცემული, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წ. მარტის 4-ის დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. „სოიუზტრანსის“ საქართველოს და სოხუმის ლიკვიდირებული დირექციების ქონებისა და სატრანსპორტო საშუალებათა ბაზაზე მოწყობილ იქნას საქართველოს სსრ საავტოტრანსპორტო, საექსპედიციო და სასაწყობო მეურნეობის ტრესტი „საქავტოტრესტის“ სახელწოდებით, მოქმედების რაიონით მთლად საქართველოს სსრ ტერიტორიაზე და ტრესტის სამმართველოს სამყოფელი ადგილით ქალ. ტფილისში:

შენიშვნა. „საქავტოტრესტი“ აფხაზეთის ასსრ-ისა და აჭარის ასსრ-ის ტერიტორიაზე მოქმედობს ამ ტრესტის შედგენილობაში მოწყობილი აფხაზეთის და აჭარის განყოფილებათა მეშვეობით; ეს განყოფილებანი იმყოფებიან სამეურნეო ანგარიშზე და დამოუკიდებელ ბალანსზე.

2. „საქავტოტრესტი“ იმყოფება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს უშუალო გამგებლობაში.

3. მიენდოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველობას—შეიმუშაოს და წარმოუდგინოს 15 დღის ვადაზე საქართველოს სსრ-სახალხო კომისართა საბჭოს დასამტკიცებლად სახელმწიფო ტრესტის „საქავტოტრესტის“ წესდება, შეუთანხმოს რა ამ წესდების პროექტი საწესდებო კაპიტალის რაოდენობის განსაზღვრის მხრით საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს გადამცემი ბალანსის ცნობების შესაბამისად.

4. წინადადება მიეცეს „საქავტოტრესტის“ დირექტორს:

ა) წარუდგინოს ფინანსთა სახალხო კომისარიატს ტრესტის და მისი ფილიალების აპარატის შტატები;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) წარუდგინოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დასამტკიცებლად ტრესტის 1936 წლის საწარმო-საფინანსო გეგმა.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ბ. მდივანი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მოადგ. **ს. მებუკე.**

1936 წ. მარტის 15. № 187.
ტფილისი.

ფ ი ნ ა ნ ს ე ბ ი

49. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

სასოფლო საბჭოების საბიუჯეტო უფლებათა შესახები დებულების მე-6 მუხლის შეცვლის შესახებ.

„სასოფლო ბიუჯეტების საშემოსავლო წყაროების გაფართოების შესახებ“ გამოცემული, სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წ. იანვრის 4-ის დადგენილებასთან დაკავშირებით (სსრკ კან. კრ. 1936 წ. მე-3 №-ი, მუხ. 23), სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

საქართველოს სსრ სასოფლო საბჭოების საბიუჯეტო უფლებათა დებულების მე-6 მუხლი (საქ. სსრ კან. კრ. 1934 წ. მე-3 №-ი, მუხ. 49; 1936 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 6) მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:

„6. სასოფლო საბჭოებისათვის დაკისრებული ხარჯების დასაფარავად მიეკუთვნოს თვითეული სასოფლო საბჭოს ბიუჯეტს შემდეგი საშემოსავლო წყაროები:

ა) სასოფლო საბჭოს გამგებლობაში მყოფი ქონებისა და წამოწყებათა არასაგადასახადო შემოსავალი;

ბ) ადგილობრივი გადასახადი და გამოსაღები, რაც გადაიხდევინება სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე;

გ) ერთიანი სახელმწიფო ბაჟი, რაც გადაიხდევინება სასოფლო საბჭოში;

დ) სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე გადახდევინებული სახელმწიფო გადასახადები: საკოლმეურნეო ვაჭრობის ბრუნვის გადასახადი, სარეწაო გადასახადი, არასასაქონლო ოპერაციების გადასახადი, მემკვიდრეობისა და გაჩუქების წესით გარდამავალი ქონების გადასახადი, თევზის ჭერის გადასახადი, თევზის სარეწაო ჭერის უფლების საბილეთო გამოსაღები;

ე) შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1932 წ. ივნისის 11-ის დადგენილებით დაწესებული ანარიცხი ტყის დამზადების დროს ტყეებიდან გამოსაზიდი მერქნისათვის 10 კაპ. რაოდენობით გამოზიდული მერქნის მკვრივ კუბომეტრზე;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ) კოლექტიური მეურნეობებისა და სამეურნეო ორგანოების მიერ, ერთ-ერთ საკუთრებული კანონების საფუძველზე, სოფლის ბიუჯეტში გადაცემული სახსარი;

ზ) სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ანარიცხი—არა ნაკლებ, ვიდრე 20%-ის რაოდენობით;

თ) კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეთა შორის რეალიზებულ სახელმწიფო მასურ სესხთა ანარიცხები 50%-ის რაოდენობით თვითეულ სასოფლო საბჭოზე;

ი) მუშათა და მოსამსახურეთა შორის და აგრეთვე სხვა არამიწათმოქმედ მოსახლეობაში რეალიზებულ სახელმწიფო მასურ სესხთა ანარიცხები 25%-ის რაოდენობით;

კ) საბინაო და კულტურული მშენებლობის საჭიროებათათვის სოფლის მეურნეობის მწარმოებელი მოსახლეობის გამოსაღების ანარიცხები—არა ნაკლებ, ვიდრე 30%-ის რაოდენობით;

ლ) საბინაო და კულტურული მშენებლობის საჭიროებათათვის მუშათა და გლეხთა და სხვა არამიწათმოქმედი მოსახლეობის გამოსაღების ანარიცხები არა ნაკლებ, ვიდრე 25%-ის რაოდენობით;

მ) კერძო პირთა საშემოსავლო გადასახადის ანარიცხები—არა ნაკლებ, ვიდრე 20%-ის რაოდენობით;

ნ) სასოფლო სამომხმარებლო და სასოფლო სარეწაო კოოპერაციის საწარმოთა და ორგანიზაციათა საშემოსავლო გადასახადის ანარიცხები—არა ნაკლებ, ვიდრე 75%-ის რაოდენობით;

ო) სასოფლო კოოპერაციისათვის დეცენტრალიზებულ დამზადებათა ხაზით გადასახდევინებელი ბრუნვის გადასახადისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადამმუშავებელ საწარმოთათვის გადასახდევინებელი ბრუნვის გადასახადის ანარიცხები—არა ნაკლებ, ვიდრე 75%-ის რაოდენობით;

პ) ნაწილი ადგილობრივი ბიუჯეტების სასარგებლოდ გადასადები სპეციალური ანარიცხებისა ბრუნვის გადასახადიდან ბამბაზე—არა ნალკებ 50%-ისა და თამბაქოზე—არა ნაკლებ 20%-ისა:

ჟ) ადგილობრივი მნიშვნელობის მქონე ტყეების შემოსავალი (სამორე სასყიდელი, ტყეში საქონლის ძოვების შემოსავალი და სხვ.)—არა ნაკლებ 50%-ისა;

რ) სავალდებულო ჩაბარების, შესყიდვისა და დეცენტრალიზებული დამზადების წესით სოფლად დამზადებული პროდუქციის თვითეული ცენტნერის ანარიცხი:

1) ოითო ცენტნერი პურეულისა და ზეთოვან თესლზე 30 კაპ. რაოდენობით;

2) თითო ცენტნერ ჭარხალზე—15 კაპ. რაოდენობით;

3) თითო ცენტნერ ხორცეულზე—2 მან. რაოდენობით;

4) თითო ცენტნერ კარტოფილზე—20 კაპ. რაოდენობით;

ეროვნული ბიბლიოთეკა

5) რძის პროდუქტებზე—თითო ცენტნერ რძეზე 1 მან. ანგარიშით;

6) თირო ცენტნერ სელის ბოჭკოზე ქერელზე და მატყლზე—15 მან.;

ეს ანარიცხები გადაიხდება შემოსული ბრუნვის გადასახადიდან.

ამა მუხლის „ზ“, „კ“, „ლ“, „მ“, „ნ“, „ო“, „პ“ და „ჟ“ პუნქტებში აღნიშნული ანარიცხების ზედმიწევნითს რაოდენობას დაადგენენ ყოველწლიურად სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტები სარაიონო ბიუჯეტის დამტკიცების დროს.“

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ბ. მდივანი.**

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი **თ. ჟღენტი.**

1936 მარტის 20/21. № 127/269.
ტფილისი.

ბ რ ო ბ ა

50. დადგენილება ს.კ.ს.

მომუშავეთა რაოდენობისა და სამუშაო ხელფასის ფონდების ერთდროული აღრიცხვის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახალხო სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს—ჩაატაროს საქართველოს სსრ ყველა სახელმწიფო, კოოპერაციულ და საზოგადოებრივ დაწესებულებასა, ორგანიზაციასა და საწარმოში, მოსაქმე პერსონალის რაოდენობის და 1936 წლის მარტის სამუშაო ხელფასის ფონდების აღრიცხვა.

2. დაევალოს ყველა სახალხო კომისარიატს, რესპუბლიკანურ უწყებას, კოოპერაციულ, პროფესიონალურ, საზოგადოებრივ და სხვ. ორგანიზაციას და მის ადგილობრივ ორგანოებს, აგრეთვე სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს, საქალაქო და სასოფლო საბჭოებს და მათ ქვემდებარე ორგანიზაციათ და წამოწყებათ—წარუდგინონ სახალხო სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს ორგანოებს ცნობები მოსაქმე პერსონალის და 1936 წ. სამუშაო ხელფასის ფონდის რაოდენობის შესახებ იმ ფორმებით და იმ ვადებზე, რაც დაწესებულია სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. ოქტომბრის 11-ის თარიღის და 2360 №-ის დადგენილებით.

შენიშვნა. ის დაწესებულებები და ორგანიზაციები, რომლებისთვისაც დადგენილია შრომის შესახები კვარტალური ანგარიშები, ერთდროული აღრიცხვისათვის საჭირო ცნობებს წარადგენენ 1936 წლის პირველი კვარტალის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. მიენდოს აფხაზეთის ასსრ-ისა, აჭარის ასსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს ჩაატარონ ანალოგიური ღონისძიებანი.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. ბ. მდივანი.

საქ სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მაგ ვ. ლუნკევიჩი.

1936 წ. მარტის 19. № 242.

ტფილისი

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 68 №-ში 1936 წ. მარტის 23.

---

51. დადგენილება ს.კ.ს.

„სამედიცინო მომუშავეთა სამუშაოთა ხელფასის გადიდების თაობაზე" გამოცემული, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1935 წ. მარტის 4-ის დადგენილების განხორციელების წესისათვის გამოცემული ინსტრუქციის მოქმედების ყველა სამედიცინო მომუშავეზე გავრცელების შესახებ, იმისდამიუხედავად, თუ ვის ექვემდებარება ის დაწესებულება, სადაც ეს მომუშავენი მუშაობენ.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წ. დეკემბრის 26-ის დადგენილების შესაბამისად, რომლითაც სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1935 წ. მარტის 4-ის დადგენილებით განსაზღვრული სამუშაო ხელფასის განაკვეთები გავრცელებულია ყველა სამედიცინო მომუშავეზე იმისდამიუხედავად, თუ ვის ექვემდებარება ის დაწესებულება, სადაც ეს მომუშავენი მუშაობენ (სსრკ კან. კრ. 1936 წ. 1 №-ი, მუხ. 10), საქართველოს სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წ. ივლისის 8-ის თარიღისა და 900 №-ის დადგენილებით დამტკიცებული, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის ინსტრუქცია სამედიცინო მომუშავეთა სამუშაო ხელფასის გადიდების თაობაზე გამოცემული, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1935 წ. მარტის 4-ის დადგენილების განხორციელების წესის შესახებ" (საქ. სსრ კან. კრ. 1935 წ. 22 №-ი, მუხ. 127) გავრცელებულ იქნას 1936 წ. იანვრის 1-დან ზემოხსენებულ დადგენილებასა და ინსტრუქციაში, ჩამოთვლილი კატეგორიების ყველა სამედიცინო მომუშავეზე, იმისდამიუხედავად,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ ვის ექვემდებარება ის დაწესებულება და ორკანიზაცია, სადაც ეს მოქალაქე მუშაობს.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. ბ. მდივანი.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მოადგ. ს. მებუკე.

1936 წ. მარტის 17. № 230
ტფილისი.

სასამართლო წყობილება და სამართლის წარმოება

52. დადგენილება ს.კ.ს.

იმ დოკუმენტების შესახები დადგენილების ა ლიტერის მე-19 პუნქტის გაუქმების შესახებ, რომლებითაც გადახდევინება წარმოებს სანოტარო ორგანოების საალსრულებო წარწერების თანახმად.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

გაუქმებულ იქნას ა ლიტერის მე-19 პუნქტი საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. მაისის 23-ის დადგენილებისა იმ დოკუმენტების შესახებ, რომლებითაც გადახდევინება წარმოებს სანოტარო ორგანოების საალსრულებო წარწერების თანახმად (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. მე-15 №-ი, მუხ. 126).

საქ. სსრ ს.კს-ოს თავმჯდომარის მოადგ. ბ. მდივანი.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მოადგ. ს. მებუკე.

1936 წ. მარტის 17. № 231.
ტფილისი.

ფასი 20 მან.

გამომცემელი საქ. სსრ ს. კ. ს-ოს / საქმ. მმართველობა 1936 წ. № 13. 3/მ. რედაქტორი ე. გამრეკელი

ქაღალდის ფორმატი 62×94 სმ.; 5/8 ბეჭდვ. ფურც.; 1 ბეჭდვ. ფურც. 48.500 სტამბ. ნიშანი

გადაეცა სტამბას 25/III ხელმოწერილია დასაბეჭდად 17/IV ტირაჟი 1900

თავლ. რწმ. № 87045 საქ.სახ.კომ.საბჭოს საქმ. მმართვ. სტამბა, ტფილისი. შეკვ. № 311